

572 / 4  
1954

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი



# ღელა

«ღელა» ბავშვთა ჟურნალი  
დასრულდა 1954 წლის  
საბავშვო კვანძისათვის»

№ 11 საბავშვოთა და ადგილობრივი კომიტეტის  
შენიშნული გამოცემებისათვის  
1954

# მდიდარი პაცი



პორის პეპლიანოვი

ნახატები J. მახარაძისა

ეს იყო დიდი ხნის წინათ, ჯერ კიდევ რევოლუციამდე.

ქალაქ პეტროგრადში. მილიონერთა ქუჩაზე, ერთ ბნელსა და ნესტიან სარდაფში, ავადმყოფ დედასთან ერთად, სი-

ღარიბესა და გაქირვებაში ცხოვრობდა პატარა ბიჭი პავლე სოკოლოვი. მწარე და ცინიკისა თუ უბრალოდ, ქუჩის სახელის გამო. მეზობელ-ამხანაგებმა პავლეს პაშკა-მილიონერი შეარქვეს.

მაგრამ ამ მდიდრულ სახელს არ შეუმსუბუქებია მისი ცხოვრება. იყო დღეები, როცა პაშკას და დედამის მილიონები კი არა, ერთი გროშიც არ გააჩნდათ.

ქალაქში ცივი, წვიმიანი შემოდგომა იდგა. პურის რიგში პაშკა დაღლევილი ჯუბით დადიოდა, და თუ მეტისმეტად ციოდა, შიშველ ფეხებს ცაცვეთილ კალოშებში წაჰყოფდა ხოლმე. ასეთ ტანსაცმელში გამოწყობილ პაშკას ქუჩის ბიჭები შორიდანვე სცნობდნენ: „აი, შეხეთ, პაშკა — მილიონერი მოდის! ეი, პაშკა, გამარჯობა!“

ამხანაგებს უყვარდათ პაშკა, იგი არა-

სოდეს არ კარგავდა მხნეობას, და ვერავითარი გაქირვება გულს ვერ უტეხავდა. მამის დანატოვარი მეზღვაურის ყურბიანი ქული ამაყად ჰქონდა მოგდებული კეფაზე ნამდვილი მეზღვაურის ქუდივით და ცდილობდა უქანასკნელი გამხმარი პურის ნატეხიც კი დედისათვის მიეტანა „გამოსაჯანმრთელებლად“. პაშკა კარგი ადამიანი იყო.

ერთ დღიას პაშკა სროლის ხმამ გამოაღვიძა. მას არ შეშინებია სროლის ხმაზე. ქალაქ პეტროგრადში, 1917 წლის მაკატ დღეებში ხშირად გაისმოდა ხოლმე სროლა. მაგრამ დღეს კი უფრო ხშირად. უფრო მკაფიოდ და სულ ახლოს ისმოდა სროლის ხმა.

პაშკა სწრაფად აძერა ფანჯარაზე. სარდაფის ფანჯრიდან ბევრს ვერაფერს დაინახავდა. მაგრამ მინც შეეძლო გაეჩინა რაიმე. აი, მის წინ ჩაირბინა კონტა ჩექმებმა. რომღესაც ქუსლები სპილენძით ჰქონდა დაქედილი, — ეს უთუოდ იუნკერი ან ოფიცერი უნდა ყოფილიყო, მერე ამ ჩექმებმა ისევ უქანვე გამოირბინეს და მას კვალდაკვალ ბრაზა-ბრუხით მიჰყვა ჯარისკაცის ჩექმები. საღდაც, სულ ახლოს, გაისმა აფეთქების ხმა. ფანჯრის მინებმა ზანზარი დაიწყეს.

ქვაფენილზე თვლებიანი ტყვიამფრქვევიც გააგორეს, და პაშკამაც მეტი ვეღარ მოითმინა. ისევე, როგორც იყო,



ფეხშიშველა, ფრთხილად აძვრა სხვენზე. იქიდან კი, სხვენის ფანჯრიდან, ყველაფერი მოჩანდა და კარგად ისმოდა. სასახლის მოედანზე ჯავშნოსნები დაქროდნენ, ზამთრის სასახლის რკინის ალყაფეზე ტაკატაკუცი გაპქონდა ტყვიებს. ნევის პროსპექტზე შავად მოჩანდნენ დარაზმული მატროსები, რომელთაც ზევით აწეული შაშანები ეკირათ. ჯარისკაცებით დატვირთული საბარგო მანქანები სმოლნის მიმართულებით მიისწრაფოდნენ და ქარისაგან ირხვოდნენ წითელი დროშებით...

— „მეღი ძალაუფლება საბჭოებს!“ — ძლივ მოასწრო პაშკამ წითელ პლაკატზე წარწერილი სიტყვების ამოკითხვა. — „ძირს მემამულეებისა და კაპიტალისტების ხელისუფლება!“

— ეაშა! — სიხარულით წამოიძახა პაშკამ, — ძირს!

სულ ახალ-ახალი ჯგუფები და რაზმები მიისწრაფოდნენ ქალაქის ცენტრისაკენ. რაზმებს წინ მიუძღოდნენ, ანდა გვერდით, ქვაფენილზე მიჰყვებოდნენ მუშები, რომელთაც სამუშაო ქურთუკები და შავი ბუშლატები ეცვათ, მკლავზე კი წითელი ნაქერი ჰქონდათ გაკეუებული.

— ბოლშევიკები არიან. — კმაყოფილებით ჩაილაპარაკა პაშკამ.

მან კარგად იცოდა, რომ ბოლშევიკები — მუშები და ჯარისკაცები — სწორედ იმით ებრძოდნენ ბურჟუებს, რომ უბრალო ხალხისათვის, როგორც პაშკა და დედამისი იყო, ცხოვრება შეემსუბუქებინათ.

„ბევრნი არიან ჩვენები, ბოლშევიკები, — გაიფიქრა პაშკამ, სხენიდან რომ ჩამოდიოდა, — მამა რომ ცოცხალი იყოს, კიდევ უფრო ბევრნი იქნებოდნენ.“

ოთახში, რომელიც გუშინ საღამოს აქეთ აღარ გაეთბოთ, თავზე საბანწაფარებული იწვა დედა. შეშა არ ჰქონდათ და კუთხეში უსაქმოდ იდგა თუნუქის პატარა ლუმელი.

პაშკამ თვალი მოაღწია ოთახს, არ იცოდა, რითი ეშველა ამ გასაჭირისათვის. კუთხეში იდგა პაშკას საყვარელი თვითმგორავი, რომელიც მამამ გაუყვთა ძველი ურიკისაგან. თვითმგორავი დიდი იყო, ხისგან ნაკეთები. პაშკამ ჯერ ორი ნაფოტი ჩამოათალა მას დიდი დანით. მერე კი ხელი ჩაიქნია — აბა, ასეთ დროს ვისა სცალია სათამაშოებისათვის, ოღონდაც კი გათბეს ადამიანი. — და თავისი თვითმგორავი სულ შეშად აქცია, დაე, სულაც ნულარ ექნება!


ახლა კი დაანთო ლუმელი ისე, როგორც საჭირო იყო, ცეცხლზე ჩაიდანიც



შემოდგა, თვითონ მაგიდას მიუჯდა, თავი ხელებზე დააყრდნო, ისე როგორც მამამ იცოდა ხოლმე, და ფიქრებს მიეცა. ჩაიდანში წყალი აღუღდა, სახურავი აახმარა, დედას გამოეღვიძა, ლოგინზე წამოიწია და ატირდა.

— ნუ ტირი, დედა, — აღერხიანად უთხრა პაშკამ, — ნუ ტირი. ხომ გესმის სროლის ხმა? ჩვენს ქუჩაზე ბოლშევიკები და მატროსები დგანან. დალიე ჩაი. ისინი აქ ტყუილუბრალოდ არ მოვიდოდნენ. ნუ ტირი, დედიკო. კალათაში კიდევ

620



გვაქვს რვა ცალი კარტოფილი. მე და შენ, დედა, მდიდრები ვართ!

— მილიონერები, — ჩუმად ჩაილაპარაკა დედამ და ცრემლები მოიწმინდა.

მეორე დღეს, საღამოს, სახლში აღარც პური ჰქონდათ და აღარც რვა ცალი კარტოფილი. დედა სიციხიანი იწვა ლოჯინში და მძიმედ სუნთქავდა.

დაღამდა თუ არა, პაშკაც სახლიდან გამოვიდა. ქუჩაში საშინელი სიცივე იდგა. ყველა სახლის კარები მაგრად იყო დახურული. პაშკას მეგობარ-ამხანაგები თვალითაც არ ჩანდნენ. ქალაქში პურის ხსენება არ იყო. ირგვლივ ტყვია-წამლის სუნი იდგა.



სულ ახლოს, სასახლის მოედნის პირადად, ტყვიათურქვევის ცეცხლმა გაიქცა. შესახვევის კუთხეში, ალაყაფის კართან, ცეცხლი ენთო. ცეცხლის ირგვლივ ტრიალდბდნენ ახალგაზრდა ჯარისკაცები, მათ მეზღვაურის ფარაჯები ეცვოთ. ცეცხლზე შემოდგმულ ვედროში წყალი დუღდა.

— ამას რისთვის ადუღებთ? — სიბნელიდან იკითხა პაშკამ. მეზღვაურებმა მაშინვე შენიშნეს პაშკა.

— შენ საიდან მოდიხარ? ვინა ხარ? — მკაცრად ჰკითხა ყველაზე უფროსმა, მაღალმა მეზღვაურმა, — აბა, მიპასუხე, როგორც წესი და რიგია.

პაშკამ არ იცოდა, როგორი პასუხი იყო საჭირო ასეთ შემთხვევაში.

— მე პაშკა-მილიონერი ვარ, — დაამშვიდა პაშკამ მეზღვაურები, — თქვენ ნუ გეყმინათ, მე აქ ყველა მიცნობს. ჩემი მამაც მეზღვაური იყო...

— იყო! — გაბრაზებით ჩაილაპარაკა მაღალმა მეზღვაურმა, — ახლა კი სად არის? აი, რა არის მთავარი.

— ჩემი მამა გემზე, ნაღმოსან „მამაცთან“ ერთად ჩაიძირა კუნძულ გელგოლანდის მახლობლად, — მწუხარედ და თანაც სიამაყით უთხრა პაშკამ, — ახლა კი მე და დედა მარტო ვცხოვრობთ.

— ალბათ კარგად ცხოვრობ შენი მილიონებით? — ჰკითხეს მეზღვაურებმა.

— ვერა ვართ კარგად, — გულახდილად მიუგო პაშკამ. — კარტოფილი გავითავდა, პურის დუქნებიც დაკეტილია.

ქარმა ბოროტად დაჰმერა კუთხიდან, პაშკას ჯუბის კალთები ააფრიალა და მეზღვაურებმა თვალი მოჰკრეს მის შიშველ, გამზღარ სხეულს.

— გეტყობა, რომ მდიდარი ხარ! — უთხრა მაღალმა მეზღვაურმა. — აჰა, ჩემო კარგო, შენც შეეჩქეცო მეზღვაურების ნამცხვარს! — და პაშკას პურის დიდი ნატები ჩაუღო ხელში.

— გმადლობთ, ძია, — უთხრა პაშკამ და პურის ნატები იღლიაში ამოიღო, —



მე აქ ნათოტებს ავკრფვ და წავალ. მა-  
ლლობელი ვარ.

— აკრიფე, აკრიფე, — გაისმა ხმები  
სიბნელიდან. — ნამცხვარი დედისთვის  
ხომ არ შეინახე? გეტყობა, წესიერი ახალ-  
გაზრდა ხარ... აბა ერთი, სიმონ, ტომრი-  
დან ნახევარი პური ამოიღე, ცოტა შე-  
შაე გაატანე, თორემ ნათოტებით რა  
ცეცხლი უნდა დანართონ.  
სახლამდე მიტანაც უშვე-  
ლე ჩვენს მილიონერს. ხომ  
ხედავ, როგორი ქარბუქი  
ამოვარდა! აჰა, მილიონერი,  
შემოირტყი ქამარი.

მეზღვაურმა სიმონმა  
თვითონვე შემოარტყა პაშ-  
კას პრიალა ტყავის ქამარი.  
რომლის ბალთახე ოქ-  
როსფერი ღუზა იყო გამო-  
სახული. ახლა რამდენიც  
უნდა, იმდენი იქროლოს  
ქარმა! ნება აქეს!

პაშკა ბედნიერი იყო. მეზღვაურმა სახ-  
ლამდე მიაცილა იგი, ოთახშიც შე-  
პყვა, ცოტა ხანს შეჩერდა, თვალი მოავ-  
ლო ოთახს.

— ჯერჯერობით კარგად იყავი, ყმა-  
წვილო, — უთხრა მან, — თუ ცოცხალი  
დავჩრი, მოვალ, მელოდე!

სალამოს კიდევ უფრო მკაფიოდ, კი-  
დევე უფრო ახლოს ისმოდა სროლის ხმა.  
პაშკას არ ეძინა, ყურს უგდებდა ტყვია-  
მფრქვევების კაკანს. მერე თითქოს სწო-  
რედ პაშკას თავზე დაიგრიალა რაღაცამ,  
ისე რომ მთელი სახლი შეზანზარდა, ქე-  
რიდან და კედლებიდან ბათქაში ჩამო-  
ცვივდა. პაშკამ მაშინ ჯერ კიდევ არ  
იცოდა, რომ ეს იყო ბოლშევიკების კრე-  
სიერი „ავრორა“, რომელიც ესროდა  
სასახლეს, იუნკრებს, მინისტრ-კაბიტა-  
ლისტებს...

განთიადისას ყველაფერი მიწყნარდა.  
პაშკამ თავის სხეულიდან მაშინვე შენიშნა,  
რომ ზამთრის სასახლეზე უკვე წითელი  
აღმები და ღროშები ფრიალებდნენ.



მეორე დღეს პაშკას ძია სიმონი  
ეწვია თავისი ამხანაგებით. მათ ხელით  
აიყვანეს პაშკას დედა მესამე სართულზე,  
დიდ ნათელ ოთახში. იქვე აზიდეს მათი  
ღარიბული ბარგი-ბარხანაც.

— კარგად იყავით, — უთხრა მათ ძია  
სიმონმა გამომშვიდობებისას, — გამოჯან-  
მრთელდით. აბა, ჩამომართვი, პაშკა,  
ხელი. ახლა შენ, ძმაო, ნამ-  
დელი მდიდარი კაცი ხარ!  
დაიმახსოვრე და გაიხარე!

— ეს როგორ მოხდა,  
ძია? — გაუბედავად ჰკითხა  
პაშკამ, მეზღვაურმა სი-  
მონმა კი მხოლოდ ჩაიცი-  
ნა და არაფერი უპასუხა.

პაშკამ, რა თქმა უნდა,  
ყოველივე ეს დაიმახსოვრა,  
მაგრამ მაშინვე ვერ მი-  
ხვდა იმას, თუ რამ გაამდი-  
დრა. მან იცოდა, რომ ომი  
ჯერ არ იყო დამთავრებუ-

ლი, რა სიხარულს ან გაამდიდრებას უნ-  
და მოელოდნენ ომისაგან?

პაშკა მეზღვაურ სიმონთან ერთად  
გამოვიდა სახლიდან. ნევაზე ნაუბი ვად-  
მლოდიდნენ სამხედრო გემებიდან. ქუ-  
ჩებში ხალხი გროვდებოდა. მზემაც თით-  
ქოს სადღესასწაულოდ გამოიხედა, თავი  
დააღწია ღრუბლებს.

განსაკუთრებით ბლომად მოეყარა  
ხალხს თავი იმ სვეტთან, სადაც აფიშები  
იყო გაკრული. ის იყო, ორბა ჯარის-  
კაცმა სვეტზე გააკრა დიდი ქაღალდი და  
პაშკამ საკუთარი თვალით წაიკითხა ქა-  
ღალდზე წარწერილი სიტყვები: „**დ ე კ რ ე ტ ი მ შ ვ ი დ ო ბ ა ზ ე**“ — ეს იყო საბჭოთა  
ხელისუფლების პირველი სიტყვა.

ვიღაც იცინოდა მათ გვერდით, ვი-  
ღაც სიხარულისაგან ტიროდა... აი, მაშინ  
მოუყვა მეზღვაური სიმონი პაშკას, თუ

რატომ გამდიდრდა პაშკა ღლეწანდელ ღღეს.

— ხედავ, ყმაწვილო, ამ მიწას, ქაღალქს, სახლებს, სასახლეებს? — ჰკითხა მან პაშკას და პაშკამაც უპასუხა, რომ კარგად ხედავს ყველაფერს.

— მაშ აძიერიდან უფრო უკეთ დაიხარებოდა ნახე, — უთხრა მეზღვაურმა სიმონმა, — ახლა ეს ყველაფერი შენია, ყმაწვილო! სამუდამოდ, საუკუნოდ შენია. ოქტომბრის რევოლუციამ გაიმარჯვა!

თარგმანი **ლ. ზივინიძისა**

# პ ა რ ა დ ზ ე

ნახატი **ბ. ჩიჩინაშვილისა**




## გრიზოლ აბაშიძე

ერთი! ორი! მოდინა  
მანქანები, ტანკები,  
ითელ ქალაქში ირწყვია  
სასეიშო ჰანგები.  
ერთი, ორი! საუვირცის  
მსუსე გააქეთ ღანღაში;  
კიდით კიდე გაისძის  
წიონერთა დაფდაფი.  
მე არც წიონერი ვარ,  
არც საბავშვო ბაღელი,  
ჯერ გარკვევით ვერ მითქვამს  
თვითონ ჩემი სასედიც.  
მაგრამ მაძას ვითოეუ და  
ასე ხელით მატარა,  
წარადს არვინ ესწრება,  
აღბათ, სეჟურ წატარა.  
ხელთ ფერადი ბურთი მაქვს,  
მხატვ, როგორც ბუმბული,  
რიგებს მივსდევ, მაშღლოს  
მხარზე წამოსკუული.  
დამანახვეთ ტრიბუნა,  
ვიდრე ვევაილს ვესროდე!..  
გამარჯვებულ სამშობლოს  
ჩემი ვაშაც ვემოდეს.



# სამი სურა



ბ. ჩხიძე ნახატები ზ. თორთაძისა

მშენიერი ზაფხული რვა წლის კოტემ დიდდასთან და პაპასთან გაატარა სოფლად. პაპა გერასიმე მეცხოველეობის ფერმაში მუშაობდა საქონლის მომვლელად. შუადღით პაპა საქონელს მიერეკებოდა ხოლმე წყლის პირას. იქ, მდინარის ფშანებში, ძროხები დინჯად ჩადგებოდნენ, დასიცხული ფურკამეჩები კი ღრმა წყალში შეტოპავდნენ, ჩაწვებოდნენ მორევებში, მარტო თავები და შავი, მოკაცული რქებიღა უჩანდათ.

ერთხელ, ნაშუადღევს, დიდდამ პაპას სამხარი წაუღო ფერმაში. კოტეცთან წაჰყვა. მალე სუფრა გაშალეს. ამ დროს პაპა გერასიმემ შენიშნა, რომ ქურქელში დასაღვევი წყალი გამოლეულიყო. მაშინვე წამოდგა, დააპირა წყაროზე წასვლა, კოკაც აიღო ხელში, მაგრამ კოტემ მოხუცი არ გაუშვა წყაროზე.

— წყალს მე მოვარბენინებ! — უთხრა მას ბიჭუნამ და ქაშანურის მოვარაყებული პატარა კოკა ხელიდან გამოართვა პაპას.

წყარო ახლოს იყო. კლდის ნაპირიდან გადმოსჩქეფდა ღარზე. კოტემ მიუღდა ცივ წყალს ლამაზი კოკა, თან მისჩერებოდა, მზის სხივებზე როგორ კამკამებდნენ ქაშანურზე ასსლეტილი წყლის შხეფები. უეცრად ბიჭუნამ კოკაზე წარწერა შენიშნა და ამოიკითხა: „ხელობა ტატესი“. წარწერის ამოკითხვამ ბიჭუნა სიხარულით ცას დასწია. მიხვდა: კოკა ბიძია ტატეს ვაკეთებული იყო. აქ უთუ-

ოდ სხვა წარწერაც იქნებოდა, — გაიფიქრა და კოკა შეაბრუნა. კოკა გადაყირავდა, ქვას მოხვდა, ერთბაშად მოსტყდა ყელი და ყური. ასე დასახიჩრებული ქურქლით ფერმაში ძლივს მიიტანა დასაღვევი წყალი, და უგუნებოდ მიუჯდა სუფრას.

— ნუ დარდობ, — მიეფერა მას პაპა გერასიმე, — ნათქვამია: „კოკა წყალზე გატყდება“. გასწი ბიძია ტატესთან და ახალ კოკას გამოვატანს.

კოტემ საჩქაროდ ისამხრა. მოძებნა ამხანაგები, დათუნა და თინიკო. ერთად გასწიეს ბიძია ტატესთან ქურქლის ქარხანაში.

ქურქლის ქარხანა სოფლის თავში იდგა კოლმეურნეობის კანტორის მახლობლად. მისი შენობები გორაკიდან მდინარეს გადაჰყურებდნენ. ქარხნის ეზოში ყმაწვილებმა პირველად ღუმელი შენიშნეს. ის კოშკით მრგვალი და მაღალი

იყო; ზემოდან კვამლი ამოდრიოდა, ქვე-  
მოდან ცეცხლი ენთო. ცეცხლთან ერთი  
თეთრწვერა მოხუცი იჯდა, რომელიც  
დროდადრო შემას უმატებდა, გახურე-  
ბულ ღუმელს აღმური ასლიოდა.

— სტუმრებს ვახლავარ, მობრძან-  
დით! — მხიარულად მიეგება ყმაწვილებს  
ქაშანურის ჭურჭლის ოსტატი ბიძია ტა-  
ტე და მაშინვე ჰკითხა კოტეს: — შინი-  
დან ხომ არაფერი დაუბარებიათ?

— პაპამ შემოგივალა, კოკა გამო-  
მიგზავნეო! — უთხრა ბიძის კოტემ და  
მოუყვა კიდევ, როგორ გაუტყდა წარ-  
წერიანი კოკა წყაროზე.

— ჯერ სახელოსნოში შემოდით, ნა-  
ხეთ, როგორ კეთდება ქაშანურის ჭურ-  
ჭელი. — მიიპატიეთა ყმაწვილები ძია  
ტატემ.

ჭურჭლეულობის სახელოსნო მოზრ-  
დილი შენობა იყო, სადაც ნიავე ადვი-  
ლად ვერ შეაღწევდა.

შესასვლელში თიხის დასაზელი დაზ-  
გა იდგა. დაზგაზე, თითქოს ფერხულს  
უფლიანო, ორი კაცი ტრიალებდა; ისინი  
ქუსლებით ზელავდნენ პურის ცომივით  
ნაზ, წებოვან თიხას. კიდევ უკეთესი სა-  
ნახავე აღმოჩნდა სახელოსნოს შუაგუ-  
ლი. იქ ხუთი კაცი მუშაობდა ჯარასა-  
ვით სწრაფ ჩარხებთან. აზელილ თი-  
ხას ხელისგულზე აგუნდავებდნენ, და-  
დებდნენ მორგვებზე, ფეხით დაატრია-  
ლებდნენ ჩარხებს, ხელის ოსტატურად  
აყოლ-ჩაყოლებით თიხისგან გამოტყავ-  
დათ კოკები, მაწვნის ქილები, სამწნი-  
ლე ქოცოები. სურები, ჯამები, ღოჭები  
და საყვავილე ქონებები. კედლების გას-



წვრივ დაწყობილი ფიცრები სასვე იყო  
ფთვალავი, ჯერ გამოუწვავი ნედლი  
ჭურჭლით.

ამ სახელოსნოს გასასვლელში ყმაწვი-  
ლებს ისევ ის მოხუცი დაუხვდათ, რო-  
მელიც პირველად შენიშნეს. მოხუცი  
ახლა მეორე, ცივ ღუმელთან ფუსფუ-  
სებდა. გამხმარ თიხის ჭურჭელს გამო-  
საწვავად ამზადებდა; ქაშანურის ყვითელ  
ფხვინოს წყალში ხსნიდა, მერე გამოუწ-  
ვავ ჭურჭელს შიგნიდან და გარედან უს-  
ვამდა. ზოგიერთს კი სხვადასხვაფერის  
ხსნარით ნახატებს და წარწერასაც უკე-  
თებდა.

მოხუცმა ყმაწვილებს უსიტყვოდ ანიშ-  
ნა, აგერ ქვეზე გადებულ ფიცარზე დას-  
ხედითო.

— პაპა, რად ასეველებ ნედლ ჭურ-  
ჭელს? — შეეკითხა კოტე.

მოხუცმა ისინი ნაცარტუტის ფერის  
სითხით სასვე გეჯაში ჩაახედა და აუხსნა:

— ამ სითხეს ქაშანურს ვეძახით. წაუს-  
ვამთ მას გამოუწვავ ჭურჭელს, შევდებთ  
ღუმელში, შევუწითებთ ცეცხლს. თიხაც  
გამოიწვის და ზედ წასმული ქაშანურიც  
შეედლდება. ამგვარად მოკიქული ჭურ-  
ჭელი არც სველდება და არც ქუქუს იკი-  
დება. რალა თქმა უნდა, ლამაზიც არის.

— ძია, ლევან, რა პატივი გცემ ჩემს  
სტუმრებს? — შეეკითხა ტატე მოხუცს.

— თითო სურა ვუთავაზოთ. — ურჩია  
მას ლევანმა.

— კარგი იქნება. დღემდე მახსოვს.  
ძია ლევან, ჩემს პატარაობაში სურა რომ  
მაჩუქე. მერე კი ხელობა მასწავლენ.

— გინდათ, ყმაწვილებო, ისეთი სუ-





რები გაჩუქოთ, რომელზედაც თქვენი სახელები ეწერება? — ჰკითხა ბავშვებს ლევანმა.

— გვინდა, გვინდა! — ერთხმად მიუგეს ყმაწვილებმა.

ლევანი სახელოსნოში შევიდა. გამოიტანა იქიდან წეროსავით გრძელყელა სურები, დაურიგა ბავშვებს, ქაშანურის სითხით დასველებინა. მერე სახელები დაწერინა ზედ და სურები გამოსაწვავად გამოადებულ სხვა ჭურჭელთან დააწყო.

— ახლა გასწით შინ. ხვალ ამ დროს მოდით და თქვენი სურები წაიღეთ! — დაარიგა ყმაწვილები ლევანმა.

ამ დროს ტატემაც გამოიტანა პატარა კოკა და კოტეს გადასცა შინ წასაღებად.

— პაპა ლევან, არ შეიძლება დავესწროთ ჭურჭლის ღუმელში გამოწვას? — დიდი მოხატარებით შეეკითხა მოხუცს კოტე.

— გასწით, მიუტანეთ გერასიმეს კოკა და მალე დაბრუნდით. ჭურჭლის გამოწვას უთქვევოლ არ დავიწყებთ. — დაჰპირდა პაპა ლევანი.

ყმაწვილები წავიდნენ და ისე მალე დაბრუნდნენ, რომ ლევანს ისინი ფერმამდე მისულიც არ ეგონა. დაიწყო ცივი ღუმელის გასება: ლევანი შიგ შევიდა, ყმაწვილები გარედან აწოდებდნენ ქაშანურწასმულ, გამოსაწვავ ჭურჭელს. მოხუცი აწყობდა. როცა ღუმელი აივსო, ლევანმა მას პირი ამოუღლისა და ქვემოდან ცეცხლი შეუნთო. მთელი ღამე ბრიალებდა ცეცხლი. მოხუცი და ახალგაზრდები ხან ზღაპრების თხრობით ერთობდნენ, ხან

ტკბილ ქანჭურს და ნიღვერღალში შემწვარ კართოფილს შეექცეოდნენ.

მეორე დღეს ლევანმა ღუმელი გაანელა და პირიც ახსნა. გამოალავა ხახხასა ქაშანურის ჭურჭელი. ყველას დაურიგა თავ-თავისი სურა და უთხრა:

ყმაწვილებო, საჩუქრით კი ვერ გაგაკვირვებთ, ჩვენი ქვეყნის ფაიფურის ქარხნები ისეთ ჭურჭლეულს უშვებენ; რომ ავთვალს არ ენახება, მაგრამ ჩემი ხელობაც ჯერ კიდევ საჭიროაო.

ბავშვებმა მაღლობა გადაუხადეს და სახლებისაკენ მოჰკურცხლეს.

გახარებული დაბრუნდა შინ კოტე, წარწერიან სურას ფრთხილად ატრიალებდა ხელში. გადაწყვიტა: ეს საჩუქარი მთელ თავის სიცოცხლეში შეენახა პაპა ლევანის სახსოვრად.





ილია სინარულიძე

ნახატი ვ. გორგაძისა

# ც ე კ ვ ე

აგერ ვაკე მინდორია,  
ხეები ღვას ირგვლივ ჯარად;  
წრე შეუკრავთ პაწაწინებს,  
წრეში მწყობრივად ჩამომდგარან;  
ისმის ტაში, მწყობრი ტაში,  
ტრიალებენ, როგორც ჯარა;  
დოლი მღერის: „ვათამაშებ  
ამ პატარას,  
იმ პატარას,  
იმ პატარას,  
ამ პატარას!“..

გამოუხტა ოთარიკო  
და „ქართული“ დაუარა;  
ფეხებს ისე ათამაშებს,  
ბალახს არც კი დააკარა;  
მზეხათუნა მასთან ცეკვავს,  
გადაიქცნენ ნიავქარად;  
დოლი მღერის: „ვათამაშებ  
ამ პატარას,  
იმ პატარას,  
იმ პატარას,  
ამ პატარას!“

„ქართული“ მოჰყვა „ბაღდადური“  
„დავლური“ და „განდაგანა“;  
ცეკვაში რომ სხვას ჩამორჩეს,  
ჩვენში არის ვინმე განა?  
გვიან ნუნუ ათამაშა,  
რეზომ მზია და მანანა;  
დოლი მღერის: „ვათამაშებ  
ამ პატარას,  
იმ პატარას,  
იმ პატარას,  
ამ პატარას!“  
ტაში, ტაში, ტაში, ტაში!..  
ყველამ ფეხებს აუჩქარა;  
დაფრინავენ მხრებგაშლილი  
ჩიტუნების დასადარად;  
დოლი მღერის: „ვათამაშებ  
ამ პატარას,  
იმ პატარას,  
იმ პატარას,  
ამ პატარას!“



# სართვღო კაღათები

დ. ხაჩიაშვილი

ნახატები შ. მხალაძისა



გურამმა გაიღვიძა თუ არა, თავი წამოსწია, პაპას საწოლს გადახედა: — კიდევ ამასწრო, კიდევ გამეპარა? — გულნაკლულად წამოიძახა და საჩქაროდ ჩაიკცა. თვალების ფშვნეტით გავიდა ეზოში და ტირილით გასძახა:

— პაპააა!

— პაპა წავიდა, შვილო, და დაგიბარა: კოლექტივის საწყობში ვარ და თუ გინდა, წამოდიო! — გაეხმაურა ბებიი.

გურამი სიხარულით შეხტა და სირბილით გასწია საწყობისაკენ. მივიდა. ხედავს, რომ პაპა ზის დიდი ფარდულის ქვეშ, აუჩქარებლად თლის და სხეპავს საწნეღე ღეროებს და ცალ-ცალკე აწყობს: გრძელებს ერთად, საშუალოებს ერთად, მოკლებს ერთად.

— პაპავ, მეც მოვედი, ხომ გიპოვნე! — შესძახა გურამმა და პაპასთან მიიბინა. პაპამ გაუცინა და მიუთითა:

— ე მაგ კუნძზე დაჯექი, შვილო, ანასხები თვალეებში არ მოგხვდეს.

გურამი არ დაჯდა, შორიახლოს დადგა. ჩაათვალიერა ჯვარისკაცებივით მწყრივში ჩამდგარი გოდრები და გაკვირვებით იკითხა:

— პაპავ, ესენი შენ დაწანი? უუ, რა ბევრია! რამდენია?

— აბა, შენ გამოიცანი! — მიუგო პაპამ. გურამმა დაიწყო თვლა, რამდენჯერმე გადათვალა და წამოიძახა:

— ოცდაათია! პაპავ, რად გინდა ამდენი გოდრები?

— ამბობენ კოლექტივის ვენახები დიდ მოსავლს გვპირდება, მტევნებს კაკლის ტოლა მარცვლი ასხიაო!

— პაპავ, ამითაც გოდრები უნდა დაწნა? — მიუთითა ასხეპილ წნელებზე.

— ამით კაღათები უნდა დაწნა.

გურამმა ცოტა ხანს იარა გოდრებს შორის, ყველას ხელით შეეხო, გარშემო შემოუარა და შეათვალიერა. მერე პაპასთან მივიდა და გასასხებ წნელებს აწვილიდა.

ამ დროს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გამოიარა. მწყობრად მდგარი გოდრები ჩაათვალიერა. მათი სიმაგრე ხელით შემოეწმა, გურამის პაპას მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა:

— ყოჩაღ, მოხუცო, წმინდა საქმე იცო, მიძივიეთ აგისხამს!

გურამმა დანიხა, როგორ გაუბრწყინდა პაპას სახე და თვალები, მოხუცმაც ჩაათვალიერა, თითქოს ახლა პირველად ხედავს თავის გაკეთებულ გოდრებსო.

პაპამ დასხეპა დაამთავრა, სიგრძის წნელები მიწაში ჩაამავრა. დაიწყო კალათის წვნა, გურამი ხლებში ეტანებოდა, ჩასაწნავ ღეროებს აწვილიდა და ეტიტინებოდა:

— აი, ეს კარგია, ეს ჩააწანი.

გურამი გულმოადგინედ დაჰყურებდა როგორ თანდათან იზრდებოდა პატარა ლამაზი კალათა. განსაკუთრებით გაუხარდა, როცა პაპამ კალათას ყურები

გაუკეთა. ყურებს ხელს ჰკიდებდა და ხითხითებდა. ძლიერ მოუნდა, რომ თითონაც გაეკეთებინა ასეთი ლამაზი კალათა. წნელების მიწოდება შეწყვიტა, მონასხები მოკლე ნაქრები ცალკე ერთად შეაგროვა, პატარა ადგილი მოასუფთავა და პაპას მიბაძვით, მიწაში სწორი

ჯოხები ჩაარქო, მაგრამ კარგად ვერ მოუვიდა, ზოგი შიგნით იყო გადაწეული. ზოგი გარეთ: არ მოეწონა, დაღონებული შორიახლოს დაღა და ხან პაპას შეჭყურებდა ხელებში და თვალეში, ხან თავის მიერ ჩარქობილ ჯოხებს. როცა პაპამ რამდენჯერმე შემოუარა კალათის კედლებს, ახლალა მიაქცია ყურადღება, რომ გურამი მას წნელებს აღარ აწვდიდა, გაევირვებით გაჰხედა და ჰკითხა:

— რატომ არა წნე, შვილო? გურამმა გრძელ ჯოხს ხელი მოჰკიდა და მიუგო:— ვერ ჩავამაგრე!

პაპამ ჯოხები მიწაში კარგად ჩაუმაგრა, ერთი-ორი პირი შემოაუწნა და უთხრა:

— აბა, ახლა დაიწყე და როცა გაგიკირდეს, მითხარი.

პაპა და შეილიშვილი ერთგულად მუშაობდნენ. გურამი წნავდა და თან ფიქრობდა: დახედავს პაპა ჩემს დაწულ კალათს, მოეწონება და მეტყვის:

— ყოჩაღ! გურამ, კარგი კალათა დაგიწნავს!



ს. ბარუზინი

## სადილობისას

ერთხელ დილის საუზმის დროს საბავშვო ბაღში თეფში გატყდა.

არაუის დაუნახავს, როგორ გადმოვარდა იგი მაგიდიდან იატაკზე და გატყდა.

აღმზრდელმა დეიდა ზინაილამ ჰკითხა ბავშვებს:

— თქვენგან რომელმა გატყეხა თეფში?

— მე არა! — თქვა ვალოლიამ.

— მე არა! — თქვა ლენამ.

— არც მე! არც მე! არც მე! — თქვეს დანარჩენმა ბავშვებმაც.



მხოლოდ ნათელამ შეხედა დეიდა ზინაილას და ყველაზე ხმადაბლა თქვა:

— ალბათ თვითონ გატყდა როგორმე...

— კარგით, — თქვა დეიდა ზინაილამ, — წადით, ითამაშეთ.

ბავშვებმა თამაში დაიწყეს და ეს შემთხვევა სრულიად დაივიწყეს. ვერც კი შეამჩნიეს, როგორ გაიბრინა საათებმა და სადილობის დრომ მოატანა.

ყველამ ხელები დაიბანა და მაგიდას მიუჯდა.



ძიძამ დიდი ლანგარი მოიტანა, რო-  
მელზედაც რიგ-რიგად ეწყო წვნით საესე  
თეფშები.

ბავშვებმა სადილობა დაიწყეს.

— მე? — იკითხა ვიტალიმ, — მე არა  
მაქვს თეფში!

ყველამ ვიტალის შეხედა და მართ-  
ლაც მას არა ჰქონდა თეფში!

— შენ, ვიტალიკო, მოცდა მოგი-  
წევს. — თქვა დეიდა ზინაიდამ. — დილას  
ხომ ერთი თეფში თავისთავად გაგვი-  
ტყლა. არა, ბავშვებო?

— მართალია! — დიძახეს ბავშვებმა.

— არაფერიც, — უცებ ხმადაბლა წარ-  
მოსთქვა ნათელამ. — თეფშები თავისთა-

ვად არ იმტვრევა, ის... ის მე... შემთ-  
ხვევით გამოიტყდა... მე მეტს აღარ ვი-  
ზამ! — და მან თავისი თეფში ვიტალის  
გადაუღდა: — კამე!

უცებ ბავშვები ნათელასაკენ შემობ-  
რუნდნენ, ის კი გაწითლდა და არავის  
უხურობდა.

— ახლა დეიდა ზინაიდა დასჯის ნა-  
თელას. — გადაწყვიტეს ბავშვებმა.

მაგრამ დეიდა ზინაიდა მივიდა ნათე-  
ლასთან და უთხრა:

— კარგი ის არის, რომ ჩვენთან თეფ-  
შები თავისთავად არ იმტვრევა, ხოლო  
ბავშვები სიმართლეს ამბობენ.

თარგმანი მან. ქავთარაძისა

ზ. შერაზალიშვილი

# დაუღლია პირი

ნანამ უკლო სიცილს,  
თურმე კბილებს იცვლის.

ორი-სამი ცალი  
მორყევია უკვე,  
მსხალს, კომშსა და ატამს  
კარგათ ველარ უკებენს.

ყველა ეუბნება:  
— ვერც გაიგებ ტკივილს:—

მაინც ეშინია  
ამოძრობა კბილის.

დადგება და ტირის,  
დაუღლია პირი.

მშიშარაა აღბათ,  
რა ეფიქროთ აბა!





აააჰი ბელიაშვილი

— ეს რა გავიგე! —  
თქვა ერთხელ ჩემმა  
ძველმა ნაცნობმა მო-  
ნადირემ, — ამბობენ, მე-  
ლიებზე ნადირობა  
აუკრძალავთო. ვითომ  
რატომო?

— იმიტომ, ჩემო  
გიგა, რომ ჩვენი სოფ-  
ლის მეურნეობისათვის მელია სასარგებ-  
ლო ცხოველია. — ვუპასუხე მე.

— რას ამბობ! — გოცდა გიგა, — მელია  
რომ ქათმებს აწიოკებს, ვენახში ყურძენს  
რომ ანადგურებს, ის სასარგებლო ცხო-  
ველია? გამიგონია, ბაკურიანში შაფ-შურა  
მელიების დიდი საბჭოთა მეურნეობააო,  
კინოშიაც მინახავს, მაგრამ იქ ხომ გა-  
ლიებში ამრავლებენ ჯიშთან მელიებს,  
რომ ძვირფასი ბეწვეული მიიღონ. ეგ  
მესმის, მაგრამ ჩვენებური ჟანგისფერი  
უჯიშო მელია ვის რად უნდა, მისი გამ-  
რავლება რად გვჭირდება?

— რაღა და, მინდვრის თავგების და  
ვირთების პირველი მტერი სწორედ ეგ  
ოინბაზი კუდა-მელაა: ხომ იცი, როგორ  
ანადგურებს მოსავალს მინდვრის თავვი.  
იმ პატარა თავგებს ეგრე ნუ ეხუმრები:  
თურმე ზამთრისათვის უამრავ მარაგს  
იმზადებენ. ერთხელ თითოეული სორო-  
დან რამდენიმე კილოგრამი ხორბალი  
ამოვიღეთ, ამდენივე სტაფილი და სხვა  
ბოსტნეულ-მარცვლეული. თან საოცარი

## ქიციქიცი



ნახატები გ. ჟოსხიანილისა

ის იყო, რომ თავგებს  
სტაფილი პატარა  
აგურებივით დაქრათ,  
ოსტატურად დაეწ-  
ყით. თან ზემოდან და  
ქვემოდან ხვრელები  
ისე მოხერხებულად გა-  
ეთხარათ, რომ ჰაერს  
თავისუფლად ემძორა-

ვა და სორო განიაგებულყო. ჰოდა,  
სოროებს რომ იცხებენ და ზარალს  
გვაყენებენ, სწორედ მათი მტერია ჩვე-  
ნი მელაკულა.

— ეგ კი არ ვიცილი, გაიქნია თავი  
გიგამ, — მე კი სადაც მოვიხელოთელი,  
სულ მუსრს ვავლებდი. ახლა მათ ხელს  
როგორღა ვახლებ.

— არც ჩემს ქიციქიციას? — დომილით  
კვითხე მე.

— რომელ ქიციქიციას, არ მესმის, რას  
მეუბნები!

— აი, გეტყვი: ეს ამბავი ჩემი მოწა-  
ფეობის დროს მოხდა. ერთხელ ჩვენს  
მეზობელს ბაზარში ყყადა პატარა, სულ  
ერთი ციქქი მელია, მოიყვანა და მაჩუ-  
ქა. ის თავის კულიანად თითის სიგრძე  
კი არ იქნებოდა, მაგრამ ბრაზიანად  
იღრინებოდა და ნემსივით წვეტიანი კბი-  
ლებით ცდილობდა ჩემთვის ხელზე ეკბი-  
ნა. თან რაღაც სასაცილოდ იჩახდა  
ხოლმე: „ქიი...“ და კუნჭულში იკრუნ-  
ჩებოდა. მე შევეცადე მოვეფრებოდი,  
უმი ხორცის ნაჭერი წვრილად დაკვეპე  
და მელიას გავუმასპინძლდი. ის გაშმაგე-  
ბით ეცა და ერთ წუთში ჩასანსლა. მე  
ეთქვი, ახლა მაინც მომეკარება მეთქი.  
გავიწილა! ისევ დაკრიჭა კბილები და  
შემომიტია.





იმ დღეს ოთახში მყავდა ეს ჩემი სტუმარი და რამდენჯერმე გავუმახსინძლდი, მაგრამ ვერ დავიმეგობრე. ღამით სარდაფში ჩაიყვანე. იქ ჩვენი ქათმები ქანდარაზე სხდებოდნენ და რა უნდა დაეკლო ამ თითის სიგრძე მელაკუნდას მათთვის.

ნამუღალამევეს ქათმების ალიაქოთმა გავგაღვიძა.

— რა ამბავია, ქურდი ხომ არ შეპარულა სარდაფში! წამოიჭრა ზეზე მამჩემი, მაგრამ მე უკვე ვიცი, რომ ეს ჩვენი მელაკუნდას ოინი უნდა ყოფილიყო. ავანთე ღამა, სარდაფის კარი შევადე და რას ვხედავ: ქათმები აქეთ-იქით დარბიან, ხოლო ის ცუღლუტი მელა ჩაჭურენია კულში ერთ დედალს და ვითომ უნდა, რომ დაითრიოს. სინათლე მსულაც არ შეაკრო. ერთი კი შემომხედა, შემომბორინა, დაიძახა თავისი „ქიი“ და ისევ გამოუდგა დედალს. დავავლე ხელი მელას, ამოვიყვანე და დერფანში დავამწყვდიე.

მეორე დღეს ცოტა შემეჩვია და უკვე აღარ მიღრენდა. მას ქიციკა დავარქვი. მივუტანიდი რძეს, ან ხორცს და როგორც კი დავუძახებდი:

— ქიციკა, აქ შოი!—ის ჯერ ტახტის ქვეშიდან გამოპოყფდა აცქვეტილ ყურებს, მერე ცხვირით ჰაერს მოყნოსავდა, და იგრძნობდა თუ არა საჭმლის სუნს, მაშინვე ეცემოდა.

ერთი კვირის შემდეგ უკვე უკან დამვედა და დამღამობით ჩემი ტახტის ქვეში იძინებდა.

ერთ დღის გამეღვიძა, ვხედავ ამობრძანებულა, ჩემს ფერხთით ლოგინზე მოუკალათებია და სძინავს. თავისი ფუმფულა კული ცხვირზე გადაუდვია.

ერთი სიტყვით, როგორც ქიან, დავმეგობრდით.

ქიციკა სწრაფად იზრდებოდა. ორი კვირის შემდეგ უკვე კატის ოდენა იყო. კული დაუგრძელდა და ფუმფულა ბეწვით დაეფარა. ეზოში თამამად დატუნტულე-

და. რამდენჯერმე ჩვენმა მამალმა ჩაუნისკარტა თავში, ამიტომ ცოტა ფრთხილად იყო და შინაურ ქათმებთან თავზიანად ეკოა თავი, მაგრამ თუ უცხო ქათამს დანახავდა. მაშინვე გამოუდგებოდა, კულში წაეტანებოდა და ერთის კრიახით დაიფრენდა. მიუღი მისი ვუჟაკობა ცხადია, იმით მთავრდებოდა, რომ ხანდახან ერთ ღერ ფრთას დაამრობდა ბოლოდან ქათამს და სულ ეგ იყო. მერე მოირბენდა, მუხლზე დამისკუბდებოდა, ხან სახელოს ღილს დაუბირებდა მოკნეტას, ხან ფანქარს, ან საშლელს გამომტაცებდა ხელიდან, გაიქცეოდა, სადმე დამალავდა, მერე მობრუნდებოდა და თავლებში მიტკეროდა, თითქოს მეუბნებოდა: აბა, თუ ნახავო.

ერთხელ სტუმრებს ველოდით. გავწყეთ მაგიდა, თან თვალყური სულ ჩვენი მელიისაკენ გვექირა, ის ხან სამზარეულოში, ხან სასადილო ოთახში დაძვრებოდა, მართალია იმდენი საქმელი ვაქ-



მე, ძლივს სუნთქავდა, მაინც რაღაც საეკვოდ უყურებდა სუფრას.

სტუმრები სუფრას მიუხსდნენ თუ არა, მელაკუნდამ ელვის სისწრაფით ისკუბა, მაგიდიდან ერთი ხაჭაპური დაითრია, ეზოსაკენ მოპკურცხლა, არხეინად დაჯდა კაკლის ძირას, ხაჭაპური თათებში მოიგღო და ქამის შეუღდა.

ღრო მიდიოდა. ქიციკა სწრაფად იზრდებოდა, სადმე ძალი რამ დაენახა, მაშინვე საცოდავად დაიწყებულტუნებდა, გამოიქცეოდა, ან გულზე შემომახტებოდა, ხელში ამიყვანეო, ან ფეხზე მომეკვრებოდა.

ერთხელ ჩემი მელა სადღაც გაქრა, სამ დღეს არ გამოჩენილა.



ერთი სიტყვით აღარ იცოდა, სიხარულით გამოეხატა.

ამ შემთხვევის შემდეგ, ის ერთხელ კიდევ გაგვეპარა; ჩემს მელაკუნას ძალიან უყვარდა მწიფე მტევნებით პირის ჩატკბარუნება, და ალბათ ვენახებში დაბრძანდებოდა.

გათავდა არღადგეგები და მე ქალაქში წავედი სასწავლებლად. ჩვენიანებს, იმის შიშით,—არ გაგვეტკესო ბელელში დამწყვდიათ. მართალია, საქმელი მიჰქონდათ, მაგრამ დაიწყებოდათ, რომ მგლიაც სვამდა წყალს და როდესაც საქმელს პირი აღარ დააკარა, მერე მოპოვებოდათ. მიუტანეს წყალი. სული რომ მოითქვა, იფიქრა: ასეთ მომელელებთან მე ვერ ვივარგებო, დრო იხელთა, ისკუპა ბელლიდან და მოუსვა ტყისაკენ.

მართალი ვითხრათ, ჩემი ქიქკია ძალიან მიყვარდა, მაგრამ მისი გაქცევა არ მეწყინა. თავს ტყეში უფრო მოუვლიდა და, ალბათ ახლა ისიც გემრიელად შეეტკევა მინდვრის თავგებს.



მეოთხე დღეს ვხედავ: ჩემი ქიქკია ფრთხილად მოიპარება გზაზე, მთლად მტვერშია ამოგანგლული. დამინახა თუ არა, დამნაშავესავით გაწვა მიწაზე და ჩემსკენ ფორთხვივით წამოვიდა, ვითომ და არ გამიჯავრდებო. მე კი ისე გამეხარა იმის დანახვა, რომ აღტაცებით წამოვიძახე:

— ქიქკია, შენა ხარ? როგორც კი ხმაზე შემატყუა, არ ვჯავრობდი, გამოექანა, გულზე შემომახტა, მთელი სახე და ხელი დამილოკა. მერე ეზოს ყოველი კუნჭული დაირბინა, ჯათმები აფორიაქა, დვდა ჩემს ფეხებთან გაუგორდა, ერთხანს თავის კუდს დაუწყო თამაში, მერე ტახტის ქვეშ შეძვრა, იქიდან ფოსტლები გამოათრია და თახშში დაარბენინებდა.

## სამკორის ზღვაზე



ანა ხახუაშვილი

ულრან ტყეში ჩიტმა-ჩიორამ იფინს ღეროზე აცოცებულ მატლს ნისკარტი ჩაპკრა და პირი არხეინად ჩაიკოკლოზინა.

— ბიკოს, ეს რა ხმა არის?—უტყებ შეფოთდა ჩიტი, ბოლო კოხტად დააქნია და ხის კენწეროზე შესკუპდა.

უტყაური გრგვინვა სულ უფრო და უფრო მკაფიოდ ისმოდა.

— ნამდვილად რაღაც ამბავია ჩვენს უბანში! — გულში გაიფლო ჩიტმა, ნიავისა-

გან მალლა შეფრიალებულ ქედნის ბუმბულს ეძგერა, ისიც ნისკარტში მოიგდო და ბუდისაკენ გაეშურა.

თავის ბინას რომ მიუახლოვდა, საშინელი სანახაობა დაუხვდა: მის ტყეს რაღაც უტყაური მხეცი შემოსჩენოდა, უშველებელ ხორთუმს აქეთ-იქით ატრიალებდა და ისე ღრიალებდა, ყურთა სმენა აღარ იყო. ტანაყრილი უზარმაზარი ხეების გარეშე მოხალხი ფუსფუსებდა: ხეებს თოკებს აბამდნენ, ძირში ნიჩბებს



უყრიდნენ და იმოდენა ხეებს ძირიან-  
ფესვიანად თაღვამივით ადვილად აძრობ-  
დნენ, მერე ის რაღაც მხეცი თავის ხორ-  
თუმს წაავლებდა, როგორც ყვევი წიწი-  
ლას მაღლა წააწიანებდა და მანქანაზე  
ფრთხილად დებდა. ხეებით დატვირთული  
უამრავი ავტომანქანები წრასვლელად  
გამზადებულები იდგნენ; შიშისაგან გულ-  
აფრიალებულმა ჩიტმა ამ მანქანებს ახედ-  
ღმხედ და უცებ საშინელი ხმით წამოი-  
ქვილა:

— უი, დამიბრმავეს თვალები, ეს ხომ  
ჩემი საყვარელი ხეა, ესეც ჩემი ბუდე...  
სად მივაქვთ, სადა, თქვე შეუბრალებ-  
ლებო, დადექით, თორემ ლურჯ ზეცას  
თავზე დაგამზობთ!—მაგრამ მისი ხმა არა-  
ვის გაუგონია, ავტომანქანებმა გაიტაცეს  
ის ხეები და მისი ბუდეც თან გაჰყვათ!

გამწარებულმა ჩიტმა გადაწყვიტა, სულ  
ვალაქარგულიყო იმ ადგილებიდან. იფრი-  
ნა, იფრინა და ფირუზისფრად გაშლილ  
სამგორის ზღვას მიუახლოვდა, იქვე ჩა-  
მოჯდა: ზღვის სიღამაზემ, მისი ტალღე-  
ბის ხმაურმა გული მოუღობო და დაწყ-  
ნარა. ირგვლივ ნაპირები ახალგაზრდა  
ტყით ისე იყო შემოსილი, რომ მის ნახ-  
ვას არაფერი სჯობდა. მწერების ძებნაში  
გართულს არც კი გაუგია, როგორ მო-  
სალამოვდა.

მზის ჩასვლისას კი დაღონდა ჩვენი  
ჩიტი, თავისი ბუდე გაახსენდა, და რა  
ქნა!..

შორიახლო ჩაუქროლა ზღვის ნაპირას  
მღვარ ხეებს და უცბად ნაცნობი შრია-  
ლი მოესმა: თითქოს მისი ხე, მისი საყვა-  
რელი, აქოჩრბილი ხე თავისაკენ ეძახდა:  
ჩიტუნო!მ ახლა კი კამარა შეჰქრა, ხიდან  
ხეზე გადაფრინდა და უცბად დაინახა  
თავისი ხე, ირგვლივ სიფრთხილით შე-  
მოუარა და შეათვალეირა; ის ისე ლამა-  
ზად ამართულიყო, თითქოს აქ ყოფი-  
ლიყოს დაბადებული და გაზრდილი.

— შენა ხარ? — შესქვივა სიხარულით  
ჩიტმა, — ჩემი ბინა სადღა არის?

— აქ, არის, აქ, ნუ შიშობ! — შეიშრია-  
ლა ახალჩარგულმა ხემ და სხვა ხეებმაც  
ბანი მისცეს.

— რა იქნა ის ბოროტი, ხორათუმიანი  
მხეცი, რად მოგიტაცათ? აქ რად მოგი-  
ყვანათ? — ეკითხებოდა გულამოძულარი  
ჩიტი.

— ის — ხორათუმიანი მხეცი კი არა, მი-  
წისმთხრელი მანქანაა. აქ რომ მოგვიყვა-  
ნეს, მან წაგვავლო პირი და გათხრილ  
ორმოებში ჩავსვა, ძალიან შეეშინდით,  
მაგრამ ახლა არა გვიშავს რა, აქაურობა  
გავალამაზეთ, დავამშვენეთ. უთხრა ხემ  
და კენწეროები შეისწორა.

ჩიტი თავის ბუდეს მიუახლოვდა და  
როგორც გასროლილი ქვა რბილ ბუ-  
დეში ისე დაეშვა, მისი ბუდის ერთი  
ღერიც არ შეჩახუტა, ისე ფრთხილად  
გადმოურგავთ მთელი ხე ამ უცხო ადგი-  
ლას.

დაღლილ ფრინველს ზღვის ტალღები  
ნელი რხევით ნანას ეუბნებოდნენ.

ლამაზი სანახავი იყო, რომ ერთი  
მთვარის მაგივრად აქ მრავალი მთვარე  
ზღვის ტალღებში კოხ-  
ტად ციალებდა. რა  
იციოდა ჩიტმა, რომ ეს  
მთვარეები ადამიანის  
ხელით ანთებული  
ელნათურები იყო.

— ეჰ, ადამიანი რა  
ძლიერი ყოფილა, სი-  
ცოცხლეს როგორ  
აღამაზეებს! — მზის ამო-  
სვლისას წამოიძახა ჩიტ-  
მა; სამგორის ზღვა-  
ზე მოფრენილმა პირ-  
ველმა უცხო ფრინველ-  
მა ისეთი წკრილა სიმ-  
ღერა შემოსძახა, რომ  
ახალჩარგულმა ტყემ  
შეგებით ამოისუნთქა და  
ლოურჯკამკამა ზღვის  
ნაზი შრიალით მიე-  
სალმა.



6620





# ყურცქვიტა და გოჭი

ა. თაქლიძევილი

ნახატები პ. კანდელაკისა

ზღაპარი

ყურცქვიტა შინ გახარებული ბრუნდებოდა. დედის დავალება შესრულა. კომბოსტო და სტაფილო ბლომად წამოიღო ბოსტნიდან. გზაზე შეზობელი გოჭი შემოეყარა:

— საიდან მოდიხარ და რა მოგაქვს, ძმობილო? — შეეკითხა გოჭი.



— დედამ ბოსტანში გამგზავნა, კომბოსტო და სტაფილო დავკრიფე. ხედავ. კალათა გვავსევ, დღეს გემრიელად ვისადილებთ. — მიუგო ბაქიამ.

— ჰმ! — ჩაეცინა გოქს, — კომბოსტო და სტაფილო რა ნოყიერი საკვებია, რაღაც ბალახ-ბულახია. აბა. მომეცი გავსინჯო. რა გემოსია.

ყურცქვიტამ მიართვა სავსე კალათი, გოქმა მადიანად ჩაახრამუნა და მანამდე არ მოეშვა, ვიდრე კალათი სულ არ ამოცალა. შემდეგ გადაგორდა და ქყვირილი დაიწყო:

— ვაიმე... ვაიმე... მუცელი ამტკივდა... ეს რა მაქამე, შე ბრიყვო, ჰა!

ყურცქვიტა შეწუხდა, გოქს ფერება დაუწყო, მუცელიც მოფხანა. გოჭი სიამოვნებისაგან გაიტრუნა. ბოლოს წამოწვა და ძილი დააპირა.

განაბული ყურცქვიტა სიბრალულით შეჰყურებდა. რაკი დაინახა, რომ აღარა უჭირდა რა, დედის დავალება მოაგონდა, ცარიელ კალათში ჩაიხედა და არხინად გაწოლილ გოქს გულნატკენმა ჩასძახა:

— ძმობილო, ყველაფერი შემიჭამე და შინ ხელცარიელი როგორღა მივიდე?



გოკმა ეშმაკურად ჩაიღრუტუნა:  
— აგერ, იმ სერზე მუხა რომ დგას,  
იმის ქვეშ ბევრი რკო ყრია, ააესე კალათი  
და შინ წაიღე.

— მე არც მუხას ვიცი და არც  
რკო ვამიგია. — მიუგო ყურცქვიტამ.

— რკო მუხას ასხია და ყველა სა-  
ქმელზე გემრიელია, ვასწი, ნულარ იგვი-  
ანებ სახლში, მე წაგყვებოდი, მაგრამ,  
ხომ ხედავ, ავად ვარ, სიარული აღარ  
შემიძლია. — უთხრა გოკმა, გვერდი  
იბრუნა და ხერინვა ამოუშვა.

ვაიკა ყურცქვიტა, სერი ადვილად  
აირბინა. აავსო კალათი რკოთი და ვახა-  
რებულმა შინ მიიტანა. მშვიერი ბაჭიები  
შეეგებნენ ძამიკოს, ჩამოირიგეს რკო,  
ვემო გაუსინჯეს, მაგრამ არ მოეწონათ.



— მე სტაფილო და კომბოსტო და-  
ვაბარე და შენ ღორების საქმელი მოგი-  
ტანია?! — გაუჯავრდა დედა ყურცქვიტას,  
დააულო ხელი სადღეს კალათს და გადაყარა.

ამ დროს, სად იყო და სად არა, გოკ-  
მა მოირბინა და კნატა-კნუტი აუყენა  
იმ რკოს.

აკრემლბული და მშვიერი ყურცქვი-  
ტა შეჭყურებდა ღორმუცელა გოქს და  
ახლა და მიხვდა მის ოინებს.



ხლის მხატვრობა ვერუთენის რ. ბტურას

ბამოცემის ოცდამეშვიდე წელი

წასმ 2 მგ.

რედაქტორი იოსებ ნოეშვილი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი,  
კ. გოჯიაშვილი, მაყვალა მრევლაშვილი (რედაქტორის მოადგილე), რ. მარჯანი, ა. სიხარულძე, ნ. უნაქოშვილი  
შ. ტყეაძე (სამხატვრო რედაქტორი)

А И Л — ежемесячный детский журнал ЦК КСМ ГРУЗИИ № 11, Ноябрь, 1964 г. Тбилиси, Ленина 14.  
საბჭოთაი. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14, უ საჩ. ტელ. № 37-28 ებრე. № 446 სტამბა № 22. პ 1000000.  
ტირაჟი 15.000 უ 14880 ტექსტი აწერილია პოლიგრაფკომბნად კომუნისტის სტამბაში, ებრაელი დახვეწილი რედაქტორის  
სიტყვის მანქანაზე ზარია ვოსტოკას სტამბაში.



6.27/125

6.23/24.



# ბავშვების ერთი თვე



სახურავებზე ცელქ ბელურებს  
ბინა ჰქონდათ ძეგლო, თბილი.  
სალიობდნენ, ფრთხილი იყვნენ  
და სიცოცხლით ესჯოდნენ.

აივანზე დილით აღრე  
მთ ვუერდი სპირად საკენს...  
ჩიტუნები შინ რჩებოდნენ,  
მე გაგებოდა სკოლისაკენ.

მაგრამ ერთხელ, როცა მათთვის  
მარცვლის დეურა დაეპირე,  
ესედავ, ფისო შექცევა  
სარბად რადაც ნახადირებს.

გავიფიქრე: ციცუნია  
რე მკვირცხლი და მარჯვე არის,  
ავერ, თავვი შეუფრია  
ის ქურდი და ონავარი.



რე ვიცოდი, თუ საბავშვებს  
შეერცხვინა საქით თავი, —  
მის კლანჭებში მალე ვიცან  
მე ბელურა სცადავი.

გაგუჯავრდი, ვტაცე ხელი  
და ვუთხარი: — მართლაც, ბრეკო,  
ჩიტუნის რას კრჩიდი,  
განა თავვი ცოტა იყო?

მაგრამ ჩიტუნა, ზემო სიტყვა  
დაივიწყა ბრეკვა მალე  
და ბელურებს — იმ კუთილებს  
ისევე სარბად უთვალავადებს.

მატარებო, დამქმნარო,  
ჩიტუნების მცველი ვიყო  
და როგორც ციცუნის  
მათი დევა დავაიწყით.

